

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №

2022 წლის --- -----

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>3</sub> კატეგორიის და M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>3</sub> კატეგორიის და M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 27/03/2015, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016136) და დადგენილების:

ა) მე-5 მუხლის „ვ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ<sup>2</sup>) პირველი პუნქტის „ლ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალურ დირექტორს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს;

ბ) მე-5 მუხლს, „თ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი:

„თ<sup>2</sup>) 1<sup>1</sup> პუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>3</sub> კატეგორიის და M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიცემული აქვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლებს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებული სააგენტოს ფუნქციებს წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა), 135-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა და მათი აღსასრულებლად მიქცევა.

სააგენტოს თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილებების სრულად და ეფექტურად განხორციელებისთვის მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს იმ თანამშრომლებს, რომლებსაც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, მიეცეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად

სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა 2022 წლის 17 აგვისტოს MIA 4 22 02289725 წერილით (მერიაში რეგისტრაციის №04-0122234184-16), სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომლები (პატრულ-ინსპექტორები) საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით პატრულირებას ახორციელებენ მეტროსადგურებში. სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მეტროსადგურის ტერიტორიაზე გადაადგილებისას მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მეტროპოლიტენის სამმართველოს 201 პატრულ-ინსპექტორისათვის უფასო მგზავრობის უფლების მინიჭება, რაც გულისხმობს თითოეული პატრულ-ინსპექტორისათვის ყოველთვიურად 200 უფასო გადაადგილების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ითხოვს შესაბამისი ცვლილების განხორციელებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში.

ამავე დროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2022 წლის 17 აგვისტოს MIA 4 22 02289725 წერილის დამატებით, შევიდა იმავე დეპარტამენტის 2022 წლის 23 აგვისტოს MIA 7 22 02345158 წერილი (მერიაში რეგისტრაციის №04-01222364-16), სადაც აღნიშნულია, რომ პატრულ-ინსპექტორების მონაცემთა გამოგზავნასა და შემდგომში ბაზის განახლების მიზნით, უფლებამოსილი სუბიექტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა ცვლილების შეტანა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>3</sub> კატეგორიის და M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან (დეპარტამენტის პასუხი ერთვის პროექტს).

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინება.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.